„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. გვეტაძე
„06“ 12 2024 წ.

ფიდეს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი “ვარსკვლავთა ტურნირი”
8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის სწრაფ ჭადრაკში
18 - 19 დეკემბერი 2024 წ.
ქ. თბილისი, სასტუმრო ბილთმორი, რუსთაველის გამზირი 29

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები და ღონისძიებები:

- 8 წლამდე ჭაბუკთა შორის - 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული;
- 8 წლამდე გოგონათა შორის - 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული;
- 10 წლამდე ჭაბუკთა შორის - 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული;
- 10 წლამდე გოგონათა შორის - 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული;
- 12 წლამდე ჭაბუკთა შორის - 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული;
- 12 წლამდე გოგონათა შორის - 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული;

3. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. სათამაშო წესები:

4.1. დროის კონტროლი: 10 წუთი პარტიის ბოლომდე, 5 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, 4 მონაწილეს შორის წრიული სისტემით - 2 წრედ 6 ტურად.

4.3. არ დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

5. ტურნირში მონაწილეობა და რეგისტრაცია:

5.1. ტურნირებში დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები;

5.2. ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- 2024 წლის შესაბამისი ასაკის სტანდარტულ ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატებზე I - IV ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;
- ვაკანტური ადგილები შეივსება მომდევნო ადგილზე გასული მოჭადრაკეებით.

5.3. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი (**დანართი 1**) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ხოლო, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს კი ასევე, დამატებით შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

5.4. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/bVkwZsjzeoLzM9hf6
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 15 დეკემბერი 18:00 საათი.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

5.5. მონაწილეთა ცხოვრების, კვების, გზის და სატურნირო შესატანის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

6. ტურნირების განრიგი:

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	18 დეკემბერი	
გახსნა / მისალმება	19 დეკემბერი	11:45
I ტური	19 დეკემბერი	12:00
II ტური	19 დეკემბერი	12:40
III ტური	19 დეკემბერი	13:20
IV ტური	19 დეკემბერი	14:00
V ტური	19 დეკემბერი	14:40
VI ტური	19 დეკემბერი	15:20
დახურვა	19 დეკემბერი	16:00

7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

7.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. კოიას სისტემა.
5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, ჩატარდება დამატებითი მატჩები.

7.2. I - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან დიპლომითა და ფულადი პრიზით;

8. საპრიზო ფონდი - 5000 ლარი:

კატეგორია	I	II	III
12 წლ ჭაბუკები	400	300	200
12 წლ გოგონები	400	300	200
10 წლ ჭაბუკები	380	280	180
10 წლ გოგონები	380	280	180
8 წლ ჭაბუკები	350	250	160
8 წლ გოგონები	350	250	160

8.1. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.

8.3. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

9. საერთო წესები:

9.1. ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

10. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი